საქართველოს მთავრობის

დადგენილება №384

2019 წლის 9 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ხელფასისა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატის ოდენობების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №387 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ხელფასისა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატის ოდენობების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №387 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.07.2015, 130000000.10.003.018773) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებულ დანართ №9-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კონტრდაზვერვის დეპარტამენტი (ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს გარდა)“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №10 ამოღებულ იქნეს.

3. დადგენილებით დამტკიცებულ დანართ №16-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი (III მთავარი სამმართველოს მონიტორინგისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს გარდა)“.

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №18 და დანართი №19 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

დანართი №18

უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის მთავარი სამმართველო (უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის ჯგუფის გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
მთავარი სამმართველოს უფროსი	4250
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	3900
სამმართველოს უფროსი	2900
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2700
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1775
უფროსი ინსპექტორი	1530
უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	1470
ინსპექტორი, ოპერატიული თანამშრომელი	1405

	დანართი №19
უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის მთავარი სამმართველოს უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის ჯგუფი	
თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
მთავარი სამმართველოს უფროსი	3200
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	3100
სამმართველოს უფროსი	2700
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2300
სამსახურის უფროსი	2250
განყოფილების უფროსი	1365
ოპერატიული თანამშრომელი	1155